საქართველოს
პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ბაღმ. 26

№ 7555

09 11 2012 წელი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების

კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის
ირაკლი ალასანიას ადგილმონაცვლის გიორგი ცაგარეიშვილის პარლამენტის
წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2012 წლის 9 ნოემბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული მასალები საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ირაკლი ალასანიას ადგილმონაცვლის გიორგი ცაგარეიშვილის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტში წარმოადგინა 2012 წლის 7 ნოემბერს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ გაცემული ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ გიორგი ცაგარეიშვილს ნარკომანიისათვის დამახასიათებელი ნიშნები არ აღენიშნება და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ არსებული მონაცემებით აღრიცხვაზე არ იმყოფება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ ცნობილ იქნეს გიორგი ცაგარეიშვილის პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე

ირინე იმერლიშვილი